

შპს „ყვარელი პალასი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ყვარელი პალასი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ყვარელი პალასი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ყვარელი პალასი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან. ამავდროულად ჩვენ ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვამხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვა მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;

- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დამკვეთი არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის წრმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

4 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქედოს ჯორჯიას“ სახელით

4 ნოემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „ყვარელი პალასი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	11,520,498	12,261,124
აქტივის გამოყენების უფლება	6	27,638	34,141
არამატერიალური აქტივები	7	134,203	110,938
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,682,339	12,406,203
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	107,457	189,538
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	126,824	89,539
გადახდილი ავანსები	10	71,885	64,852
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	265,744	182,781
სულ მიმდინარე აქტივები		571,905	526,710
სულ აქტივები		12,254,245	12,932,914
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,478,782	2,519,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,478,782	2,519,305
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,352,604	188,248
მიღებული ავანსები	15	104,187	121,099
სხვა ვალდებულებები	17	140,350	32,001
მოკლევადიანი სესხი	13	27,708	21,156
საიჯარო ვალდებულება	16	38,938	45,074
საგადასახადო ვალდებულებები	12	87,632	66,472
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,751,419	474,050
სულ ვალდებულებები		4,230,201	2,993,355
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	15,535,026	15,192,126
აკუმულირებული ზარალი		(7,510,982)	(5,252,569)
სულ კაპიტალი		8,024,044	9,939,557
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,254,249	12,932,914

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	19	6,233,859	4,271,006
თვითღირებულება	20	(5,991,183)	(3,110,623)
სულ შემოსავალი		242,677	1,160,383
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(2,331,235)	(1,714,711)
საპროცენტო ხარჯი	22	(321,735)	(389,144)
საპროცენტო შემოსავალი		15,090	9,421
არასაოპერაციო ხარჯი		(4,602)	(62,448)
არასაოპერაციო შემოსავალი	23	68,187	70,306
გრანტის შემოსულობა	24	101,209	120,375
მოგება/ზარალი სავალუტო		(8,371)	(15,303)
სახსრების გადაფასებიდან			
უიმედო დებიტორული დავალიანების		(16,676)	-
გაუფასურების ხარჯი			
სხვა ხარჯი		-	(6,600)
პერიოდის შედეგი დაბეგვრამდე		(2,255,456)	(827,720)
მოგების გადასახადი		(2,957)	(3,324)
პერიოდის შედეგი		(2,258,414)	(831,044)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ბალანსი 31.12.2022	15,042,126	(4,421,525)	10,620,601
პერიოდის შედეგი	-	(831,044)	(831,044)
კაპიტალის ზრდა	150,000	-	150,000
ბალანსი 31.12.2023	15,192,126	(5,252,568)	9,939,557
პერიოდის შედეგი	-	(2,258,414)	(2,258,414)
კაპიტალის ზრდა	342,900	-	342,900
ბალანსი 31.12.2024	15,535,026	(7,510,981)	8,024,044

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024 წ.	2023 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(2,258,414)	(827,720)
კორექტირებები:	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,031,192	996,727
ზარალი/ (მოგება) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	8,371	(15,303)
უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	16,676	(7,166)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	(1,202,175)	146,538
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების (შემცირება)/ზრდა	(82,963)	(2,251)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(53,958)	(5,208)
გადახდილი ავანსები	(7,032)	243,572
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	1,164,356	(77,367)
სხვა ვალდებულებების ზრდა	108,349	29,890
მიღებული ავანსები	(16,912)	88,999
საგადასახადო ვალდებულებები	21,159	15,891
საიჯარო ვალდებულების (ზრდა)/შემცირება	(6,137)	(9,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(75,312)	430,578
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(261,420)	(493,384)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(45,907)	-
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	342,900	150,000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	35,573	(343,384)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	580,962	453,889
სესხის გადახდა	(614,933)	(665,171)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(33,971)	(211,282)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(73,710)	(124,087)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	189,538	297,436
საკუროსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(8,371)	16,189
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	107,457	189,538

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	11,520,498	12,261,124
აქტივის გამოყენების უფლება	6	27,638	34,141
არამატერიალური აქტივები	7	134,203	110,938
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,682,339	12,406,203
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	107,457	189,538
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	126,824	89,539
გადახდილი ავანსები	10	71,885	64,852
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	265,744	182,781
სულ მიმდინარე აქტივები		571,905	526,710
სულ აქტივები		12,254,245	12,932,914
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,478,782	2,519,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,478,782	2,519,305
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,352,604	188,248
მიღებული ავანსები	15	104,187	121,099
სხვა ვალდებულებები	17	140,350	32,001
მოკლევადიანი სესხი	13	27,708	21,156
საიჯარო ვალდებულება	16	38,938	45,074
საგადასახადო ვალდებულებები	12	87,632	66,472
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,751,419	474,050
სულ ვალდებულებები		4,230,201	2,993,355
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	15,535,026	15,192,126
აკუმულირებული ზარალი		(7,510,982)	(5,252,569)
სულ კაპიტალი		8,024,044	9,939,557
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,254,249	12,932,914

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	19	6,233,859	4,271,006
თვითღირებულება	20	(5,991,183)	(3,110,623)
სულ შემოსავალი		242,677	1,160,383
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(2,331,235)	(1,714,711)
საპროცენტო ხარჯი	22	(321,735)	(389,144)
საპროცენტო შემოსავალი		15,090	9,421
არასაოპერაციო ხარჯი		(4,602)	(62,448)
არასაოპერაციო შემოსავალი	23	68,187	70,306
გრანტის შემოსულობა	24	101,209	120,375
მოგება/ზარალი სავალუტო			
სახსრების გადაფასებიდან		(8,371)	(15,303)
უიმედო დებიტორული დავალიანების			
გაუფასურების ხარჯი		(16,676)	-
სხვა ხარჯი		-	(6,600)
პერიოდის შედეგი დაბეგვრამდე		(2,255,456)	(827,720)
მოგების გადასახადი		(2,957)	(3,324)
პერიოდის შედეგი		(2,258,414)	(831,044)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმადგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ბალანსი 31.12.2022	15,042,126	(4,421,525)	10,620,601
პერიოდის შედეგი	-	(831,044)	(831,044)
კაპიტალის ზრდა	150,000	-	150,000
ბალანსი 31.12.2023	15,192,126	(5,252,568)	9,939,557
პერიოდის შედეგი	-	(2,258,414)	(2,258,414)
კაპიტალის ზრდა	342,900	-	342,900
ბალანსი 31.12.2024	15,535,026	(7,510,981)	8,024,044

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:



ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024 წ.	2023 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(2,258,414)	(827,720)
კორექტირებები:	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,031,192	996,727
ზარალი/ (მოგება) საკუროს სხვაობიდან, წმინდა	8,371	(15,303)
უიმედო დებიტორული დავალიანების		
გაუფასურების ხარჯი	16,676	(7,166)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	(1,202,175)	146,538
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების (შემცირება)/ზრდა	(82,963)	(2,251)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(53,958)	(5,208)
გადახდილი ავანსები	(7,032)	243,572
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	1,164,356	(77,367)
სხვა ვალდებულებების ზრდა	108,349	29,890
მიღებული ავანსები	(16,912)	88,999
საგადასახადო ვალდებულებები	21,159	15,891
საიჯარო ვალდებულების (ზრდა)/შემცირება	(6,137)	(9,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(75,312)	430,578
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(261,420)	(493,384)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(45,907)	-
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	342,900	150,000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	35,573	(343,384)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	580,962	453,889
სესხის გადახდა	(614,933)	(665,171)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(33,971)	(211,282)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(73,710)	(124,087)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	189,538	297,436
საკუროს სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(8,371)	16,189
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	107,457	189,538

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 4 ნოემბერს.

დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე

გვერდებზე 10-33 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარელი პალასი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 241582649), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 2009 წლის 29 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. N52.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სასტუმროს მომსახურების მიწოდება.

კომპანიის 100% მესაკუთრე არის შპს „აგროგანვითარება“.

2024 წლის მდგომარეობით შპს „აგროგანვითარების“ დამფუძნებლები არიან:

მესაკუთრეები	პროცენტული წილი
არჩილ გეგენავა	37.85%
ივანე ნიკოლაიშვილი	23%
გიორგი ჩუბინიშვილი	23%
ანდრო გეგენავა	16.15%

შპს „ყვარელი პალასის“ დირექტორია ნუგზარ ურუშაძე

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენახე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ

შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცელების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცელებულია და ვადაგადაცელება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ფასდება გარიგების ფასით, ხოლო ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია პირველადი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	20-25
მანქანა-დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად შედგება კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფისგან, რომელიც აღირიცხება დანახარჯების მოდელის გამოყენებით. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება შეძენისა და დანერგვის დანახარჯების საფუძველზე, ხოლო პირდაპირ მიკუთვნება დეველოპმენტის დანახარჯები კაპიტალიზდება, თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პერსონალის და პირდაპირ ზედანდებ ხარჯს, ხოლო ტექნიკური მომსახურების დანახარჯები მათი გაწევისთანავე ხარჯებში აისახება. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება დაპირებული საქონლის და მომსახურებების მომხმარებლებისთვის კონტრაქტის გადამხდის დროს. გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს ამგვარ აქტივზე. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასწარმოების მხრივ თავისუფლება და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

შემოსავალი იზომება გარიგების ფასით. გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს კონტრაქტის პირობებსა და თავის ჩვეულ ბიზნეს-საქმიანობას. გარიგების ფასი წარმოადგენს კომპანიას მიერ მოსალოდნელ თანხას, რომელიც მიიღება დაპირებული მომხმარებლისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, გარეშე/მესამე პირებისათვის (მაგალითად, ზოგიერთი გაყიდვის დანახარჯი) შეკრებილი თანხის გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან

ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზე დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების კონკრეტული იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შესადარისი პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოახდინა წინა წლის გადახდილი ავანსებისა და საგადასახადო ვალდებულებების მუხლების რეკლასიფიკაცია, რომელსაც გავლენა არ მოუხდენია გაუნაწილებელ მოგებაზე. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო შესადარისი პერიოდის გადაანგარიშება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლის გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელ გაყიდვებს და ისტორიულ გამოცდილებებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკვეთების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვთისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიჯარო ვადა. საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში. მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთი - თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2024 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა:

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემული 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში მყოფი 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება უკავშირდება აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ს მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვასთან დაკავშირებით. ცვლილება მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ოპერაციიდან წარმოდგარი ვალდებულებების შემდგომი შეფასება მოახდინოს იმგვარად, რომ არ აღიაროს შენარჩუნებული აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს ამგვარი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება გულისხმობს ცვლადი გადახდების შესრულებას, რომლებიც არ არის მიზნული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს, შემდეგ შეცვლილი 2020 წლის 15 ივლისის და 2022 წლის 31 ოქტომბრის და საბოლოოდ ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. 2022 წლის ოქტომბრის ცვლილებამ დაადგინა, რომ სესხის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ მოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავედროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამოწვევის, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

და შეესაბამება ფასს-ს (IFRS). ფასს (IFRS) 19 ძალაში იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადამდელი გამოყენება. მოსალოდნელია, რომ მოცემული შესწორებები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან (გამოშვებული 2023 წლის 25 მაისს და ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფინანსური გარიგებების შესახებ არასაკმარისი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შემფოთებაზე რეაგირების მიზნით, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში და მოითხოვა ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ. ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ამ გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. დამატებითი მოთხოვნების მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ცვლილებები არ აისახება აღიარების და შეფასების პრინციპებზე და მოქმედებს მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

სტანდარტებში ცვლილებების მიღებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დეკემბრის შემდეგ. კომპანია მოელის, რომ ცვლილებებს, მათი დანერგვისას, ან პოტენციური გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია რომელიმე ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (გამოშვებული 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2023 წლის აგვისტოში ბასს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში რომ დახმარებოდა საწარმოებს ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და განესაზღვრა სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც არ არსებობდა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. საწარმოს ეს ცვლილება ეხება მაშინ, როდესაც მას აქვს გარიგება ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის შეფასების თარიღისთვის კონკრეტული მიზნით. ბასს 21-ში შესული ცვლილებები დაწვრილებით მოთხოვნებს არ შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი. ამის ნაცვლად ისინი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. სავალდებულოა შესაბამისი თანხების კონვერტაცია გამოთვლილი სპოტ სავალუტო კურსით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის და გაუნაწილებელი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობების რეზერვის დაკორექტირება. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს ბასს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, რათა: (ა) განმარტოს გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, და ახალი გამოანაკლისი დააწესოს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემით; (ბ) განმარტოს და დააზუსტოს იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს; (გ) დაამატოს ახალი განმარტებითი შენიშვნები ზოგიერთი ინსტრუმენტისთვის, ისეთი სახელშეკრულებო პირობებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადები (კერძოდ, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის თვისებები მიბმულია გარემოს მიღწევებზე, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სამიზნე მაჩვენებლებზე); და (დ) განაახლოს განმარტებითი შენიშვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2024 წლის ივლისში და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ით განიმარტა, რომ ჰეჯირება უნდა შეწყდეს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის „მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს“ და არა „პირობებს“, რათა გადაჭრილიყო პოტენციური გაუგებრობა, რომელსაც წარმოშობდა არათანმიმდევრულობა ფასს 1-ის ფორმულირებასა და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს აქვს შენარჩუნებული მონაწილეობა, მათ შორის სამართლიანი ღირებულების შეფასება მოიცავდა თუ არა „მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს“. ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მინიშნება „მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ემპირიულ მონაცემებს“. ცვლილებას ფორმულირება შესაბამისობაში მოჰყავს ფასს 13-თან. გარდა ამისა, ფასს 7-ის დანერგვის გარკვეული სახელმძღვანელო მაგალითები განიმარტა და ტექსტი დამატა, რომ მაგალითები შესაძლოა არ ასახავდეს ყველა მოთხოვნას, რომელსაც შეიცავს ფასს 7-ის დამოწმებული მუხლები. ფასს 16-ის ცვლილება აზუსტებს, რომ როდესაც მოიჯარე განსაზღვრავს, რომ საიჯარო ვალდებულება დაფარულია ფასს 9-ის შესაბამისად, მოიჯარე ვალდებულია ფასს 9-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიაროს მოგებაში ან ზარალში. დაზუსტება ვრცელდება იმ საიჯარო ვალდებულებებზე, რომლებიც დაფარულია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შესაბამისობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები ამჯერად თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც „ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხა“, ნაცვლად „მათი გარიგების ფასისა (ფასს 15-ის განმარტების შესაბამისად)“. ფასს 10 იმგვარად შეიცვალა, რომ იყენებდეს ნაკლებად დასკვნით ენას, როდესაც საწარმო არის „დე ფაქტო რწმუნებული“ და განმარტოს, რომ ფასს 10-ის 874 პუნქტში აღწერილი ურთიერთობა მხოლოდ

ერთი მაგალითია ისეთი გარემოებისა, რომელშიც განსჯა არის საჭირო იმის დასადგენად, არის თუ არა მხარე დე ფაქტო რწმუნებული. ბასს 7 ჩასწორდა, რათა წაშლილიყო მინიშნება „დანახარჯების მეთოდზე“, რომელიც 2008 წლის მაისში იქნა ამოღებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებიდან, როდესაც ბასს-მა გამოუშვა ცვლილება „შვილობილ საწარმოში, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულში ან მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის დანახარჯი“. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და განმარტებითი შენიშვნებზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. მთავარი ახალი ცნებები, რომელიც ფასს 18-მა შემოიტანა, უკავშირდება: • მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას; • სავალდებულო განმარტებითი შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში გარკვეული მოგების ან ზარალის შედეგების შეფასებებისთვის, რომელთა ანგარიშგება ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შეფასებები); და • გაფართოებულ პრინციპებს აგრეგირებასა და დეზაგრეგირებაზე, რომელიც ვრცელდება ძირითად პირველად ანგარიშგებებზე და, ზოგადად, განმარტებითი შენიშვნებზე. ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ის; ბევრი სხვა არსებული პრინციპი ბასს 1-ში ნარჩუნდება, მცირედი ცვლილებებით. ფასს 18 არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ მან შეიძლება შეცვალოს ის, თუ რას წარმოადგენს საწარმო თავის „საოპერაციო მოგებად ან ზარალად“. ფასს 18 გავრცელდება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე. კომპანია მოელოს, რომ ცვლილებებს, მათი დანერგვისას, ან პოტენციური გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოუშვა ახალი ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შვილობილი საწარმოებისთვის. ფასს 19 შესაბამის შვილობილ საწარმოებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ნაკლები განმარტებითი შენიშვნებით. ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯს და ამავდროულად შეინარჩუნებს სასარგებლო ინფორმაციას მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. შვილობილი საწარმოები, რომლებიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს იყენებენ თავიანთი საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, შეიძლება წარმოადგენდნენ განმარტებითი შენიშვნებს, რომლებიც შეუსაბამოა მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 ამ გამოწვევებს გადაჭრის შემდეგით: • შვილობილი საწარმოებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ მხოლოდ აწარმოონ სააღრიცხვო ჩანაწერების მხოლოდ ერთი კომპლექტი – რათა დააკმაყოფილონ როგორც მშობელი საწარმოს, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებები. • უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა, რაც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს. ფასს 19 გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან კომპანიას არ ევალება მისი გამოყენება.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ბასსმა გამოუშვა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს იმაში, რომ უკეთ წარმოადგინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტები, რომლებიც ხშირად შედგენილია, როგორც ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები (PPA). არსებული სააღრიცხვო მოთხოვნები შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. იმისათვის, რომ კომპანიებს საშუალება მიეცეთ, უკეთ ასახონ ეს ხელშეკრულებები ფინანსურ ანგარიშგებებში, ბასსს-მა ცვლილებები შეიტანა ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები. ცვლილებები მოიცავს შემდეგს: (ა) „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების განმარტება, (ბ) გარკვეული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება, თუ ასეთი ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებისთვის და (გ) ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნების დამატება, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი ხელშეკრულებები საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მიწის ნაკვეთები	ოფისის აღჭურვილობა	სასტუმროს ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალება	დაუმთავრებელი შენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება									
ბალანსი 31.12.2022	13,014,555	302,204	202,539	239,608	1,789,692	171,543	69,123	1,059,409	16,848,673
შეძენა	25,036	89,593	-	15,208	107,331	5,873	19,324	290,621	552,985
ჩამოწერა	-	(27,851)	-	(16,857)	(32,335)	(10,813)	-	-	(87,856)
ანგარიშებს შორის გადატანა	92,924	926,512	-	-	-	-	-	(1,019,436)	-
ბალანსი 31.12.2023	13,132,514	1,290,458	202,539	237,959	1,864,688	166,603	88,447	330,593	17,313,802
შეძენა	126,404	11,931	-	9,438	436,648	45,018	304	-	629,743
ჩამოწერა	(2,552)	(15,346)	-	(970)	(62,699)	(8,854)	-	(330,594)	(421,015)
ბალანსი 31.12.2024	13,256,366	1,287,043	202,539	246,427	2,238,637	202,767	88,751	-	17,522,530
აკუმულირებული ცვეთა									
ბალანსი 31.12.2022	(2,674,699)	(134,843)	-	(104,219)	(1,049,410)	(122,348)	(25,434)	-	(4,110,953)
ცვეთა	(609,955)	(69,945)	-	(27,409)	(250,481)	(8,505)	(3,685)	-	(969,980)
ჩამოწერა	-	-	-	14,252	6,894	7,110	-	-	28,256
ბალანსი 31.12.2023	(3,284,655)	(204,788)	-	(117,376)	(1,292,996)	(123,743)	(29,119)	-	(5,052,678)
ცვეთა	(628,692)	(69,605)	-	(28,257)	(254,227)	(12,254)	(9,010)	-	(1,002,046)
ჩამოწერა	-	4,013	-	950	42,998	4,731	-	-	52,693
ბალანსი 31.12.2024	(3,913,347)	(270,381)	-	(144,683)	(1,504,225)	(131,266)	(38,129)	-	(6,002,031)
ნარჩენი ღირებულება									
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	10,339,855	167,361	202,539	135,390	740,282	49,195	43,689	1,059,409	12,737,720
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	9,847,859	1,085,670	202,539	120,582	571,691	42,860	59,329	330,593	12,261,124
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	9,343,018	1,016,662	202,539	101,745	734,413	71,501	50,622	-	11,520,498

კომპანიას ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში გირავნობით დატვირთულია სავაჭრო, საწარმოო ფართები და სხვადასხვა ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებები. კომპანიის საკუთრებაში აქვს სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოყენებაშია და არ მომხდარა ამ ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და სასიცოცხლო ვადების გადახედვა. მენეჯმენტი არ გეგმავს ამ ძირითადი საშუალებების რეალიზაციას, თუმცა აპირებს მომავალში ყველა სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალების სასიცოცხლო ვადების გადახედვას და ცვლილებას.

6. აქტივის გამოყენების უფლება

	აქტივის გამოყენების უფლება
ღირებულება	
ბალანსი 31.12.2022	64,781
ბალანსი 31.12.2023	64,781
ბალანსი 31.12.2024	64,781
აკუმულირებული ცვეთა	
ბალანსი 31.12.2022	(23,753)
ცვეთა	(6,887)
ბალანსი 31.12.2023	(30,640)
ცვეთა	(6,503)
ბალანსი 31.12.2024	(37,143)
ნარჩენი ღირებულება	
ბალანსი 31.12.2022	41,028
ბალანსი 31.12.2023	34,141
ბალანსი 31.12.2024	27,638

შპს ყვარელი პალასმა მშობელი კომპანიისგან 2019 წელს მიიღო უძრავი ქონება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ობიექტს წარმოადგენს უძრავი ქონება შემდეგი სარეგისტრაციო მახასიათებლებით: -მდებარე ქ.ყვარელში, ფართობი 546 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ფართი - 333 კვ.მ. საიჯარო ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2028 წლის დეკემბრამდე.

7. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2022	173,295	20,639	193,934
ბალანსი 31.12.2023	173,295	20,639	193,934
შეძენა	45,907	-	45,907
ბალანსი 31.12.2024	219,202	20,639	239,841
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2022	(38,942)	(4,334)	(63,136)
ცვეთა	(17,885)	(1,975)	(19,860)
ბალანსი 31.12.2023	(56,827)	(6,309)	(82,996)
ცვეთა	(20,667)	(1,975)	(22,642)
ბალანსი 31.12.2024	(77,494)	(8,284)	(105,639)
საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 31.12.2022	134,353	16,305	130,798
ბალანსი 31.12.2023	116,468	14,330	110,938
ბალანსი 31.12.2024	141,708	12,355	134,202

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	101,087	166,261
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	17,727
საღარო	6,370	5,550
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	107,457	189,538

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები სასტუმროს ოპერაციებიდან	182,242	123,099
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	5,185
უიმედო ვალების რეზერვი	(55,422)	(38,746)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,820	89,539

საეჭვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	360+	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	74,698	5,868	2,645	16,605	62,813	19,615	182,242
პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვი	-	(117)	(132)	(4,151)	(31,406)	(19,615)	(55,422)

საეჭვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	360+	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	47,729	23,435	664	16,360	11,891	28,209	128,287
პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვი	-	(469)	(33)	(4,090)	(5,945)	(28,209)	(38,746)

უიმედო ვალების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	თანხა
31 დეკემბერი 2022	(45,912)
უიმედო ვალების რეზერვის ხარჯის ამოტრიალება	7,166
31 დეკემბერი 2023	(38,746)
უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	(16,676)
31 დეკემბერი 2024	(55,422)

10. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
წინასწარ გადახდილი გადასახადები	17,247	18,882
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	54,637	45,970
სულ გადახდილი ავანსები	71,885	64,852

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სასტუმროს მარაგები	252,006	172,861
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13,738	9,919
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	265,744	182,781

12. საგადასახადო ვალდებულება

კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირს და შესაბამისად ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებს. კომპანიის ძირითადი გადასახადებია: მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 87,632 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს - 66,472 ლარი.

13. მიღებული სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი სესხები	2,478,782	2,519,305
გადასახდელი პროცენტები	27,708	21,156
სულ მიღებული სესხები	2,506,490	2,540,461

სესხის ნომერი	სესხის მიღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
# 2	2019-03-18	2030-03-12	15%	GEL	1,669,333	1,669,333
# 3	2021-12-10	2028-12-10	15%	GEL	809,449	849,972
					2,478,782	2,519,305

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,338,602	181,968
ვალდებულება ფიზიკური პირების მიმართ	14,002	6,280
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,352,604	188,248

15. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსების ძირითადი ნაწილი არის მომხმარებლების მიერ წინასწარი ჯავშნებისთვის გადახდილი თანხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "ყვარელი პალასი" მიღებული ავანსები შეადგენდა 104,187 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 121,099 ლარს.

16. საიჯარო ვალდებულება

ბალანსი 31.12.2022	54,560
დარიცხული პროცენტი	2,514
გადახდილი ძირი და პროცენტი	(12,000)
ბალანსი 31.12.2023	45,074
დარიცხული პროცენტი	5,863
გადახდილი ძირი და პროცენტი	(12,000)
ბალანსი 31.12.2024	38,937

17. სხვა ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი შედგება სახელფასო ვალდებულებებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებების ნაშთი შეადგენს 140,350 ლარს. ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 32,001 ლარს.

18. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 15,042,126 ლარი. 2023 წელს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 150,000 ლარით ფულადი სახით. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 15,175,560 ლარი. 2024 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 342,900 ლარით, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 15,535,026 ლარი.

19. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024 წ.	2023 წ.
სასტუმროს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3,826,003	2,522,092
რესტორნიდან მიღებული შემოსავალი	2,305,353	1,642,585
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	19,519	-
საიჯარო შემოსავალი	34,171	33,692
სხვა შემოსავალი	48,814	72,637
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,233,859	4,271,006

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლებისთვის სასტუმროს მომსახურების მიწოდება. გარდა ამისა, კომპანია შემოსავალს აგენერირებს იჯარიდან. თუმცა, მთავარი შემოსავლის წყარო სასტუმროსა და სარესტორნო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია.

20. თვითღირებულება

	2024 წ.	2023 წ.
მასალები და საქონელი	1,390,165	996,229
საიჯარო ხარჯი	1,597,458	-
ხელფასის ხარჯი	1,564,113	922,129
ცვეთის ხარჯი	973,789	942,688
ლონისძიების და სხვა აქტივობების ხარჯი	72,863	28,367
კომუნალური ხარჯი	378,338	206,493
სხვა ხარჯები	14,456	14,717
სულ თვითღირებულება	5,991,183	3,110,623

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წ.	2023 წ.
იჯარის ხარჯი	7,382	4,243
შრომის ანაზღაურება	1,282,500	957,058
საგადასახადო ხარჯი	149,195	155,375
საკომისიო ხარჯი	133,672	120,954
რემონტის ხარჯი	109,552	48,751
საწვავის ხარჯი	98,290	38,252
მარკეტინგის ხარჯი	98,158	64,462
საბანკო ხარჯები	60,758	42,705
საკონსულტაციო ხარჯები	57,668	63,876
ცვეთა და ამორტიზაცია	57,403	54,039
ლოჯისტიკის ხარჯები	51,187	30,426
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	46,553	35,667
კომუნიკაციის ხარჯი	44,324	30,421
ოფისის ხარჯი	37,633	20,813
დაზღვევის ხარჯი	21,970	12,099
დაცვის ხარჯი	3,996	3,657
კომპიუტერის ხარჯები	399	2,437
სხვა ხარჯი	70,596	29,477
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	2,331,235	1,714,711

22. საპროცენტო ხარჯი

	2024 წ.	2023 წ.
ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	306,592	386,630
იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	9,280	-
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	5,863	2,514
სულ საპროცენტო ხარჯი	321,735	389,144

23. არასაოპერაციო შემოსავალი

	2024 წ.	2023 წ.
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,345	32,772
მარაგების ზედმეტობა	52,842	37,534
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	68,187	70,306

24. გრანტის შემოსულობა

	2024 წ.	2023 წ.
გრანტის შემოსულობა	101,209	120,375
სულ გრანტის შემოსულობა	101,209	120,375

კომპანიის გრანტის შემოსულობა არის სსიპ "აწარმოე საქართველოში"-სგან თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლები, რომლის მიზნობრიობა გახლდათ გადასახდელი პროცენტის თანადაფინანსება.

25. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დამატებით დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში დამატებით რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნევა მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

26. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

31.12.2024	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,820	126,820
ფული და ფულის ექვივალენტები	107,457	107,457
სულ ფინანსური აქტივები	234,277	234,277
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2,478,782	2,478,782
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,352,604	1,352,604
მოკლევადიანი სესხები	27,708	27,708
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,859,094	3,859,094
წმინდა პოზიცია	(3,624,817)	(3,624,817)

31.12.2023	აშშ დოლარი	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	76,947	76,947
ფული და ფულის ექვივალენტები	92,461	204,974	297,436
გადახდილი ავანსები	-	315,015	315,015
სულ ფინანსური აქტივები	92,461	596,936	689,398
ფინანსური ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	2,730,588	2,730,588
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	264,510	264,510
მოკლევადიანი სესხები	-	21,155	21,155
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	3,016,253	3,016,253
წმინდა პოზიცია	92,461	(2,419,317)	(2,326,855)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2024 -2023 წლებში მოცემულია ქვემოთ:

შპს „ყვარელი პალასი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2024	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,820	-	-	126,820
ფული და ფულის ექვივალენტები	107,457	-	-	107,457
სულ ფინანსური აქტივები	234,277	-	-	234,277
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	2,478,782	-	2,478,782
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,352,604	-	-	1,352,604
მოკლევადიანი სესხები	27,708	-	-	27,708
საიჯარო ვალდებულება	-	-	38,938	38,938
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,380,312	2,478,782	38,938	3,898,032
წმინდა პოზიცია	(1,146,035)	(2,478,782)	(38,938)	(3,663,755)
31.12.2023				
	1 წლამდე	1-5 წლამდე		სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	89,539	-	-	89,539
ფული და ფულის ექვივალენტები	189,538	-	-	189,538
გადახდილი ავანსები	71,443	-	-	71,443
სულ ფინანსური აქტივები	350,520	-	-	350,520
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	2,519,305	-	2,519,305
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188,248	-	-	188,248
მოკლევადიანი სესხები	21,156	-	-	21,156
სულ ფინანსური ვალდებულებები	209,404	2,519,305	-	2,728,709
წმინდა პოზიცია	141,116	(2,519,305)	-	(2,378,189)

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31.12.2024		31.12.2023	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,820	126,820	89,539	89,539
ფული და ფულის ექვივალენტები	107,457	107,457	189,538	189,538

გადახდილი ავანსები	2,478,782	2,478,782	71,443	71,443
გრძელვადიანი სესხები	1,352,604	1,352,604	2,519,305	2,519,305
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,708	27,708	188,248	188,248
მოკლევადიანი სესხები	38,938	38,938	21,156	21,156

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შპს აგროგანვითარება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. იგი არის კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია. კომპანიაზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის არჩილ გეგენავა.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარის დასახელება	ოპერაციის შინაარსი	2024 წელს განხორციელებული ოპერაციის თანხა
მშობელი კომპანია	კაპიტალში შენატანი	342,900
მშობელი კომპანია	იჯარის ხარჯი	1,609,458
მშობელი კომპანია	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,082,157
საერთო კონტროლი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,154
საერთო მენეჯმენტი	მარაგების შესყიდვა	58,269
საერთო მენეჯმენტი	ლოჯისტიკის ხარჯი	10,227
საერთო მენეჯმენტი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,678
საერთო მენეჯმენტი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,328
საერთო მენეჯმენტი	შემოსავალი	81,083
მშობელი კომპანია	ძირითადი საშუალებების შესყიდვა	371,174
საერთო კონტროლი	მარაგების შესყიდვა	62,361

დაკავშირებული მხარის დასახელება	ოპერაციის შინაარსი	2023 წელს
		განხორციელებული ოპერაციის თანხა
მშობელი საწარმო	კაპიტალში შენატანი	150,000
მშობელი საწარმო	იჯარის ხარჯი	12,000
მშობელი საწარმო	კრედიტორული დავალიანება	4,720
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანება	10,000
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანების პატიება	33,577
დაკავშირებული ფიზიკური პირი	შემოსავალი	22,814
საერთო მენეჯმენტი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,557
საერთო მენეჯმენტი	მარაგების შესყიდვა	83,771
საერთო მენეჯმენტი	ლოჯისტიკის ხარჯი	33,170
საერთო მენეჯმენტი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,971
საერთო მენეჯმენტი	მარაგების შესყიდვა	31,507
საერთო მენეჯმენტი	ხარჯი	36,000

მენეჯმენტის ანაზღაურება:

2024 წელს მენეჯმენტზე გაცემული ხელფასია 70,761 ლარი, ხოლო 2023 წელს მენეჯმენტზე გაცემული ხელფასმა შეადგინა 120,000 ლარი.

29. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 4 ნოემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2025 წლის ოქტომბერში შეიცვალა შპს ყვარელი პალასის მშობელი კომპანიის შპს აგროგანვითარების მესაკუთრეები. ცვლილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

მესაკუთრეები	პროცენტული წილი
ანდრო გეგენავა	7.00%
ივანე ნიკოლაიშვილი	23%
გიორგი ჩუბინიშვილი	14.19%
არჩილ გეგენავა	29.85%
უჩა უგულავა	14.85%
შპს ჰოლდინგ.ჯი	11.11%

ცვლილების შემდგომ შპს ყვარელი პალასის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეს წარმოადგენს არჩილ გეგენავა.

2025 წელს შპს ყვარელი პალასის საწესდებო კაპიტალში მშობელმა საწარმომ განახორციელა შენატანები 437,000 ლარის ოდენობით.

შპს „ყვარელი პალასი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

\

სარჩევი

კომპანიის შესახებ	3
მმართველობა და სტრუქტურა.....	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
ფინანსური შედეგები	5
საოპერაციო რისკები	7
რისკის მართვა	7
ფინანსური რისკები	8

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარელი პალასი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 241582649), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 2009 წლის 29 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ყვარელი, ყვარლის სატყეო.


კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის *სასტუმროს მომსახურების მიწოდება*.

სასტუმრო მდებარეობს კახეთში და ფუნქციონირებს საბაზრო სახელით „ყვარლის ტბა“.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „აგროგანვითარება“.

კომპანიის დირექტორა ნუგზარ ურუშაძე.

მმართველობა და სტრუქტურა



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სერვისები. სასტუმროში განთავსებულია:

- 100 სასტუმრო ნომერი;
- 1 ღია აუზი;
- 1 დახურული აუზი
- 2 ბარი;
- 2 რესტორანი;
- სპა;
- სამასაჟო ოთახი

სასტუმრო ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების ჩამონათვალი:

სასტუმროში განთავსება	
სარესტორნო მომსახურება	
საკონფერენციო და სხვა ღონისძიებების გამართვა	
სპა მომსახურება	

პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა ხორციელდება სხვადასხვა არხების საშუალებით:

- ✚ ინტერნეტ გაყიდვებით (კომპანია იყენებს რამდენიმე პლატფორმას);
- ✚ სატელეფონო გაყიდვებით;
- ✚ პირდაპირი კორპორატიული გაყიდვებით;
- ✚ ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობით.

2024 და 2023 წლის მონაცემებით შემოსავლები პროდუქტების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

	2024 წ.	2023 წ.
სასტუმროს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3,826,003	2,522,092
რესტორნიდან მიღებული შემოსავალი	2,305,353	1,642,585
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	19,519	-
საიჯარო შემოსავალი	34,171	33,692
სხვა შემოსავალი	48,814	72,637
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,233,859	4,271,006

*თანხები მოცემულია ლარში

სასტუმროსთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებელთა კმაყოფილება. სწორედ ამიტომ კომპანია ცდილობს თითოეულ თანამშრომელს დაანახოს მათი მნიშვნელობა სტუმრების კმაყოფილების ზრდაში.

პერიოდულად მიმდინარეობს გარკვეული დეპერტამენტების უფროსების და თანამშრომლების გადამზადება, საკვალიფიკაციო კურსების დაფინანსება, მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად.

ფინანსური შედეგები

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის საერთო მოგებას 2024 და 2023 წლებისთვის.

	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,233,859	4,271,006
თვითღირებულება	(5,991,183)	(3,110,623)
სულ შემოსავალი	242,677	1,160,383

*თანხები მოცემულია ლარში

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის პერიოდის შედეგს (ზარალს) 2024 და 2023 წლებისთვის.

	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,233,859	4,271,006
თვითღირებულება	(5,991,183)	(3,110,623)
სულ შემოსავალი	242,677	1,160,383
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,331,235)	(1,714,711)
საპროცენტო ხარჯი	(321,735)	(389,144)
საპროცენტო შემოსავალი	15,090	9,421
არასაოპერაციო ხარჯი	(4,602)	(62,448)
არასაოპერაციო შემოსავალი	68,187	70,306
გრანტის შემოსულობა	101,209	120,375
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(8,371)	(15,303)
უიმედო დებიტორული დავალიანების	(16,676)	-
გაუფასურების ხარჯი	-	-
სხვა ხარჯი	-	(6,600)

პერიოდის შედეგი დაბეგვრამდე	(2,255,456)	(827,720)
მოგების გადასახადი	(2,957)	(3,324)

პერიოდის შედეგი	(2,258,414)	(831,044)
-----------------	-------------	-----------

*თანხები მოცემულია ლარში

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 და 2023 წლებისთვის.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	11,520,498	12,261,124
აქტივის გამოყენების უფლება	27,638	34,141
არამატერიალური აქტივები	134,203	110,938
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,682,339	12,406,203
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	107,457	189,538
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,824	89,539
გადახდილი ავანსები	71,885	64,852
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	265,744	182,781
სულ მიმდინარე აქტივები	571,909	526,710
სულ აქტივები	12,254,249	12,932,914
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	2,478,782	2,519,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,478,782	2,519,305
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,352,604	188,248
მიღებული ავანსები	104,187	121,099
სხვა ვალდებულებები	140,350	32,001
მოკლევადიანი სესხი	27,708	21,156

საიჯარო ვალდებულება	38,938	45,074
საგადასახადო ვალდებულებები	87,632	66,472
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,751,419	474,050
სულ ვალდებულებები	4,230,201	2,993,355
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	15,535,026	15,192,126
აკუმულირებული ზარალი	(7,510,978)	(5,252,569)
სულ კაპიტალი	8,024,048	9,939,557
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	12,254,249	12,932,914

კომპანია საქმიანობის ფინანსური შედეგების შესაფასებლად იყენებს შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს:

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / ამონაგები

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / მთლიან აქტივები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა სასტუმრო საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორებიცაა: რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები

სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია ახორციელებს

სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის, როგორც ბრენდის დაცვა. ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს სასტუმროს რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ყვარელი პალასი“-ს დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე _____

სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის, როგორც ბრენდის დაცვა. ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს სასტუმროს რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ყვარელი პალასი“-ს დირექტორი:

ნუგზარ ურუშაძე